საქართველოს მთავრობის

დადგენილება №266

2023 წლის 24 ივლისი

ქ. თბილისი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილისთვის განსაკუთრებული რეგულირების ზონის სტატუსის მინიჭების თაობაზე

მუხლი 1

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფელ ციხისჯვარში მდებარე 32 588 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №64.29.03.730) და ამავე მისამართზე მდებარე 22 195 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №64.29.03.010), ტურისტული, ეკონომიკური და რეკრეაციული ფაქტორებიდან გამომდინარე, მიენიჭოს განსაკუთრებული რეგულირების ზონის სტატუსი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**